კავკასიის უნივერსიტეტი

კავკასიის სახელმწიფო მართვის სკოლა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	
	დიპლომატია და საერთაშორისო ურთიერთობები
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ინგლისურ ენაზე	
	Diplomacy and International Relations
უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური	
	მაგისტრატურა
საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი	
	აკადემიური
სწავლების ენა	
	ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	
ქართულად:	0312 საერთაშორისო ურთიერთობები
ინლისურად:	0312 International Relations
სამაგისტრო პროგრამის დამტკიცების და განახლების თარიღი	დამტკიცებულია: კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის 2009 წლის 7 აგვისტოს ბრძანებით 01/05-111; განახლებულია: კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის 2013 წლის 27 აპრილის 01/01–13, 2014 წლის 22 იანვრის N01/01-10, 2018 წლის 6 ნოემბერის N01/01-34, N01/01-27; 13.02.2019; 2021 წლის 9 მარტს, N01/01-13. 2021 წლის 27 დეკემბერს, N01/01-91; 2022 წლის 13 ივლისის N01/01-38 2024 წლის 24 ივლისის N01/01-46 და 2024 წლის 24 დეკემბრის N01/01-92 ბრძანებით.
სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი	ხელმძღვანელი: საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი, პროფესორი, ეკა აკობია თანახელმძღვანელი: საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი, პროფესორი, თორნიკე თურმანიძე
პროგრამის მოცულობა კრედიტებით	

დიპლომატიის და საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს, წელიწადში – 60 ECTS კრედიტს, სემესტრში – 30 ECTS კრედიტს. შესაბამისად, სამაგისტრო პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა შეადგენს 2 წელს (დასაშვები

ხანგრძლივობაა 5 აკადემიური წელი). სასწავლო წელი აგებულია სემესტრული პრინციპით. ერთი სემესტრი მოიცავს 20 სასწავლო კვირას, შესაბამისად სასწავლო წელი დაგეგმილია 40 კვირაზე. სწავლა ასევე შეიძლება განხორციელდეს ზაფხულის სემესტრშიც, სკოლის საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად. ზაფხულის სემესტრი შედგება 6 სასწავლო კვირისგან, სადაც სტუდენტმა შეიძლება დააგროვოს მაქსიმუმ 15 ECTS კრედიტი.

1 ECTS კრედიტი უდრის 25 კრედიტ–საათს, რაც მოიცავს, როგორც სტუდენტის საკონტაქტო დატვირთვის დროს (ლექცია, სემინარი, პრაქტიკუმი და სხვა), ასევე მისი დამოუკიდებელი მუშაობის დროს (შუალედური და საბოლოო შეფასებისათვის, საშინაო დავალების მომზადების, სახლში წერითი დავალებების მომზადების (ესე, საკურსო, კვლევითი ნაშრომი) და პრეზენტაციისათვის განკუთვნილ კრედიტ–საათსა და პროფესორთა კონსულტაციების საათებს.

დიპლომატიის და საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობის ამოწურვის შემდეგ აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტს უფლება აქვს საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების მიზნით სწავლა განაგრძოს დამატებითი სემესტრების (არა უმეტეს 3 აკადემიური წლისა) განმავლობაში, სტუდენტის სტატუსის შენარჩუნებით.

დიპლომატიის და საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს სასწავლო და კვლევით კომპონენტს. სასწავლო კომპონენტში შედის ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები (**52 კრედიტი)** და ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები (**38 კრედიტი).** კვლევით კომპონენტში შედის სამაგისტრო ნაშრომი (30 კრედიტი). დიპლომატიის და საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტისათვის სავალდებულოა სამაგისტრო ნაშრომის მომზადება და დაცვა, რომელიც მოიცავს 30 ECTS კრედიტს. სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პარალელურად სტუდენტი ვალდებულია გაიაროს სავალდებულო სამაგისტრო ნაშრომის კვლევის დიზაინი (3 ECTS).
დიპლომატიის და საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა აძლევს სტუდენტს შესაძლებლობას არჩევით კურსებს შორის 10 ECTS მოიპოვოს თავისუფალი კრედიტის სახით კავკასიის უნივერსიტეტის სხვა სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებიდან და/ან გაცვლითი პროგრამების ფარგლებში მიღებული კრედიტის აღიარების გზით. ~

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

კავკასიის სახელმწიფო მართვის სკოლის სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა:
ა) ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
ბ) საერთო სამაგისტრო გამოცდის წარმატებით ჩაბარება;
გ) შიდასაუნივერსიტო პროცედურების წარმატებით გავლა, რომელიც შედგება სააპლიკაციო პაკეტის მიღების, ენის ფლობის დონის დადასტურებისა და სპეციალობაში ინტერვიუსაგან.

სააპლიკაციო პაკეტში შედის:

1. დიპლომის ნოტარიულად დამოწმებული ასლი და ნიშნების ფურცელი;
2. აპლიკანტის CV (ავტობიოგრაფია);
3. 2 ცალი პასპორტის ფოტოსურათი (იგივე ჩაწერილი CD-ზე);
4. პირადობის მოწმობის ასლი;
5. სამხედრო მიწერის მოწმობის ასლი (მამაკაცებისთვის);
6. ერთიანი ეროვნული გამოცდების ბარათი;
7. სამოტივაციო წერილი, რომელშიც აპლიკანტი აღწერს პროგრამაზე სწავლის გაგრძელების მოტივაციას;
8. შესაძლებელია დაერთოს ადრინდელი ნაშრომი/პროექტი/სტატია, რომელიც საუკეთესოდ ასახავს აპლიკანტის წერით კომპეტენციებს.

პროგრამაზე ჩარიცხვის ერთ-ერთი წინაპირობაა ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა. ამისათვის,

აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს ინგლისური ენის B2 დონის დამადასტურებელი სერტიფიკატი, ან ამ ცოდნის დადასტურება უნდა შეძლოს დიპლომის დანართით, ან გაიაროს ინგლისურ ენაში შიდასაუნივერსიტეტო გასაუბრება/ტესტირება, რომლის შეფასების კრიტერიუმები დგინდება წინასწარ, სკოლის საბჭოს მიერ. აპლიკანტები, რომლებსაც დასრულებული აქვთ ინგლისურენოვანი საბაკალავრო ან/და სამაგისტრო პროგრამები, თავისუფლდებიან აღნიშნული სერტიფიკატის და ინგლისურში შიდასაუნივერსიტეტო გასაუბრება/ტესტირების ვალდებულებისაგან. საბუთების შემოწმების ეტაპის შემდგომ აპლიკანტები დაბარებულ იქნებიან გასაუბრებაზე მიმღებ კომისიასთან, რომლის ფარგლებშიც დგინდება საერთაშორისო ურთიერთობების დარგის შესახებ აპლიკანტის ფართო ცოდნა და უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების უნარი და მოტივაცია. აპლიკანტი ფასდება 100 ქულიდან, რომელშიც 60 ქულას წარმოადგენს ერთიანი სამაგისტრო გამოცდის ტესტის შედეგი, ხოლო 40 ქულა წარმოადგენს მიმღებ კომისიასთან გასაუბრების შედეგს (20 ქულით ფასდება სპეციალობისთვის დამახასიათებელი ცოდნა, ხოლო 20 ქულით აპლიკანტის პრეზენტაბელურობა და სწავლის გაგრძელების მოტივაცია/უნარი). პროგრამაზე სტუდენტის მობილობით გადმოსვლის შემთხვევაში, საკითხს შეისწავლის პროგრამის დირექტორი და სკოლის დეკანი ზემოთ დათქმული პირობების გათვალისწინებით. გადაწყვეტილება სტუდენტის მობილობის შესახებ ფორმდება უნივერსიტეტის პრეზიდენტის ერთიანი ბრძანებით.	
სამაგისტრო პროგრამის მიზანი	დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის მიზანია მოამზადოს დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი, რომელიც: ✓ აღწერს დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების პრინციპებს, თეორიებს, ანალიზის მოდელებს და პრაქტიკას. ✓ აანალიზებს საერთაშორისო ურთიერთობებში აქტორთა როლსა და ადგილს, აფასებს და განასხვავებს სახელმწიფო და არასახელმწიო აქტორთა პოლიტიკურ დღისწესრიგს, ინტერესებს. ✓ კვლევის შესაბამისი მეთოდის, აკადემიური კეთილსინდისირების პრინციპების დაცვის, უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით ახდენს მონაცემთა შეგროვებას, დამუშავებას, კრიტიკულ ანალიზსა და სინთეზს და აყალიბებს დასკვნებს, რომელშიც აისახება პროფესიული და ეთიკური პასუხისმგებლობები. ✓ ახდენს პროფესიული ცოდნის ეფექტურ წერილობით და ზეპირ კომუნიკაციას, მათ შორის, უცხო ენაზე. ✓ წვლილი შეაქვს პროფესიული ცოდნისა და პრაქტიკის განვითარებაში და დამოუკიდებლად განსაზღვრავს შესაბამის ნაბიჯებს უწყვეტი პროფესიული განვითარებისთვის და სწავლის შემდგომ საფეხურზე გასაგრძელებლად. კავკასიის უნივერსიტეტის მისიასთან სრულ თანხვედრაშია პროგრამის მიზნები, რომლებიც ასახავს თუ რა ცოდნის, უნარებისა და პასუხისმგებლობის მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული პროგრამა და რა წვლილს შეიტანს იგი დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგი	**ცოდნა და გაცნობიერება** 1. აღწერს საერთაშორისო ურთიერთობებისა და პოლიტიკის სფეროს ღრმა, სისტემურ და ინტერდისციპლინურ სურათს; 2. აღწერს საერთაშორისო პოლიტიკური პროცესების კომპლექსურ ხასიათს

	და მათ გავლენას სახელმწიფოთა ეროვნულ უსაფრთხოებასა და ეროვნულ ინტერესებზე. ანსხვავებს აქტორებს შორის არსებული ურთიერთობების მოტივებს, მიზნებს და ურთიერთქმედების შესაძლო ფორმებს. აცნობიერებს ამ ურთიერთობებში დიპლომატიისა და ძალის მნიშვნელობასა და როლს. 3. აღწერს საქართველოს ადგილსა და როლს თანამედროვე საერთაშორისო სისტემაში; ესმის საქართველოს ინტერესები და მათი რეალიზაციის სხვადასხვა საშუალებები. **უნარი** 4. იდენტიფიცირებას ახდენს და ინტეგრირებული მიდგომითა და თეორიული ჩარჩოს გამოყენებით აანალიზებს და კრიტიკულად იაზრებს საერთაშორისო პოლიტიკის კომპლექსურ საკითხებს; განასხვავებს აქტორთა საზოგადო, ეროვნულ და კერძო ინტერესს, შეიმუშავებს ამ ინტერესის დამცველ ან კრიტიკულ პოზიციას. 5. სწავლის პროცესში მიღებულ ინფორმაციასა და უნარებს შეუსაბამებს დიპლომატიურ პრაქტიკაში ან საერთაშორისო პოლიტიკაში შექმნილ გარემოებებს და იყენებს კონკრეტული პრობლემის გადაჭრისათვის. 6. დამოუკიდებლად გეგმავს და ახორციელებს კვლევას უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით; აანალიზებს განყენებულ მონაცემებს, მიღებულ ინფორმაციას ამუშავებს და უკავშირებს კონკრეტულ პრაქტიკულ შემთხვევას. 7. ახდენს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ შესაბამისი ფორმატის კომუნიკაციას როგორც სპეციალისტებთან, ასევე არასპეციალისტებთან. **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა** 8. გეგმავს, პასუხისმგებლობას იღებს და ეთიკის სტანდარტების დაცვით ახორციელებს ჯგუფურ თუ ინდივიდუალურ სამუშაო პროცესს კომპლექსურ გარემოში, განსაზღვრავს საკუთარი ცოდნის გაღრმავებისა და განახლების საჭიროებებს. ავლენს სწავლის შემდგომ საფეხურზე გადასვლისთვის საჭირო თეორიულ ცოდნას და უნარ-ჩვევებს.
დასაქმების სფეროები	საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრი შესაძლებელია დასაქმდეს ხელისუფლების აღმასრულებელ და საკანონმდებლო შტოებში, საერთაშორისო ორგანიზაციებში, ასევე არასამთავრობო სექტორში, სხვადასხვა პროფილის მქონე კერძო ორგანიზაციებში, მასობრივი ინფორმაციის გავრცელების საშუალებებში, სასწავლო დაწესებულებებში, განსაკუთრებით იმ თანამდებობებზე, რომლებიც დაკავშირებულია საგარეო და საერთაშორისო კავშირების წარმართვასთან.
სწავლის გაგრძელება	დიპლომირებულ მაგისტრს შეუძლია სწავლა გააგრძელოს სადოქტორო პროგრამებზე საქართველოში თუ მის ფარგლებს გარეთ, განსაკუთრებით ისეთ პროგრამებზე, რომლებიც უკავშირდება საერთაშორისო ურთიერთობებს, პოლიტიკის მეცნიერებებს, ევროპათმცოდნეობას, უსაფრთხოების კვლევებს და სხვა მომიჯნავე სპეციალობებს სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებების სფეროდან.

სწავლებისა და სწავლის მეთოდები
დიპლომატიის და საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმში დაბალანსებულია თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობები. პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტის სამეცნიერო ცოდნისა და ინფორმირებულობის გაზრდაზე, ანალიტიკური უნარების გამომუშავებაზე, მისი თანამედროვე ცოდნით აღჭურვილ პროფესიონალად ჩამოყალიბებაზე, მაგრამ ამავე დროს შესაბამისი დრო ეთმობა სტუდენტში თეორიული ცოდნის რეალურ ცხოვრებაში გამოყენების უნარების გამომუშავებას. სწორედ ამ მიზანს ემსახურება სასწავლო პროცესში მოწვეული სტუმრების პრეზენტაციების, დისკუსიების, სემინარებისა, ერთდღიანი ლექციების და მრგვალი მაგიდების ჩართვა, რომელიც სტუდენტებს აძლევს საშუალებას დაესწრონ გამოცდილი ადგილობრივი თუ უცხოელი პრაქტიკოსების საუბრებს და ინფორმაცია მიიღონ იმ მიდგომებზე, მეთოდებზე, ტენდენციებზე, რომლებიც დღეს აქტიურად გამოიყენება საერთაშორისო ურთიერთობებში. ლექციებზე და ნებისმიერი ტიპის სემინარებზე განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საქართველოს ადგილისა და როლის განხილვას საერთაშორისო თანამეგობრობის კონტექსტში. პროგრამის ბოლოს სტუდენტი მოამზადებს სამაგისტრო ნაშრომს, სადაც იგი გამოიყენებს მიღებულ თეორიულ ცოდნასა და სამეცნიერო კვლევის უნარ-ჩვევებს. სამაგისტრო ნაშრომის მიმართ გათვალისწინებული მოთხოვნები გაწერილია კავკასიის უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის სკოლის სამაგისტრო ნაშრომის მომზადების და დაცვის შესახებ დებულებაში. სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე გამოიყენება სწავლების ისეთი მეთოდები, როგორებიცაა ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, წერითი მუშაობის მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, დისკუსია/დებატების მეთოდი, ჯგუფური (collaborative) მუშაობის მეთოდი, შემთხვევის ანალიზის (Case study) მეთოდი, როლური და სიტუაციური თამაშების მეთოდი, ახსნა–განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლების მეთოდი, ელექტრონული სწავლების (e-learning) მეთოდი, აგრეთვე პრაქტიკული მეთოდები და სხვა. სწავლება-სწავლის პროცესში მეთოდები ერთმანეთს ავსებენ და ერთმანეთში გადადიან. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახული იქნება შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში მონაწილე პირები
აფილირებული პროფესორი - 2, პროფესორი - 1, აფილირებული ასოცირებული პროფესორი - 6, ასოცირებული პროფესორი - 1, აფილირებული ასისტენტ პროფესორი - 2, მოწვეული ლექტორი - 17.

დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა

№	საგნის კოდი	წინაპირობა	საგანი\მოდული	სწავლების წელი				ECTS კრედიტი
				I		II		
				ECTS კრედიტი				
				I სემესტრი	II სემესტრი	III სემესტრი	IV სემესტრი	
			სასწავლო კომპონენტი					
ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები - 120 კრედიტი								
ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსები (სავალდებულო)				**20**	**20**	**9**	**3**	**52**
1.	IRT 5250	არ აქვს	საერთაშორისო ურთიერთობების თეორია	6				
2.	POLT 5150	არ აქვს	პოლიტიკური თეორია	5				
3.	ECON 5150	არ აქვს	თანამედროვე ეკონომიკის პრინციპები	5				
4.	AW 5150	არ აქვს	აკადემიური წერა	4				
5.	RM 5251	არ აქვს	კვლევის მეთოდები		4			
6.	LAW 5350	არ აქვს	საერთაშორისო სამართალი		6			
7.	IS 5251	არ აქვს	საერთაშორისო უსაფრთხოება		5			
8.	CMN 5350	არ აქვს	კონფლიქტების მართვა და მოლაპარაკებები		5			
9.	EUIE 5150	არ აქვს	ევროკავშირის ინსტიტუტები და ევროპეიზაცია			5		
10.	GFDP 5350	არ აქვს	საქართველოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა			4		
11.	TRD 5450	AW 5050, RM 5251	სამაგისტრო ნაშრომის კვლევის დიზაინი				3	
ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსები (არჩევითი)				**10**	**10**	**18**		**38**

			საგარეო პოლიტიკა, უსაფრთხოება და მშვიდობა					
12.	IR 5050	არ აქვს	აშშ–ს მთავრობა და საგარეო პოლიტიკა	5				
13.	ICPB 5050	არ აქვს	საერთაშორისო კონფლიქტები და მშვიდობა	5				
14.	CA 5051	არ აქვს	აფხაზეთის კონფლიქტი	5				
15.	FPA 5050	არ აქვს	საგარეო პოლიტიკის ანალიზი: თეორიები და ქეისები		5			
16.	TP 5050	არ აქვს	მშვიდობის თეორიები		5			
17.	WTC 5050	არ აქვს	ომის ტრანსფორმაცია, ასიმეტრიული და ჰიბრიდული კოფლიქტები		5			
18.	NIR 5351	არ აქვს	ნაციონალიზმი და საერთაშორისო ურთიერთობები			5		
19.	IT 5050	არ აქვს	საერთაშორისო ტერორიზმი			5		
20.	RGP 5051	არ აქვს	რუსეთის მთავრობა და საგარეო პოლიტიკა			4		
21.	DPE 5051	არ აქვს	დიპლომატიური პროტოკოლი და ეტიკეტი			4		
22.	PCCC 5051	არ აქვს	მშვიდობა, კონფლიქტები და თანამშრომლობა კავკასიაში			4		
23.	SSIS 5350	არ აქვს	პატარა სახელმწიფო საერთაშორისო სისტემაში			5		
			რეგიონალიზმი და სექტორული პოლიტიკა					
24.	TEI 5050	არ აქვს	ევროპული ინტეგრაციის თეორიები	5				
25.	ERG 5050	არ აქვს	ენერგო რესურსების გეოპოლიტიკა		5			
26.	EUAA 5051	არ აქვს	ევროკავშირთან ასოცირების საკანონმდებლო და ინსტიტუციური ასპექტები			4		
27.	IRG 5050	არ აქვს	საერთაშორისო და რეგიონული ორგანიზაციები			5		
28.	IPE 5050	არ აქვს	საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკა			5		
29.	SCME 5051	არ აქვს	ახლო აღმოსავლეთის გეოპოლიტიკა			4		
30.	EUGA 5050	არ აქვს	ევროპული ინტეგრაცია ევროკავშირისა და საქართველოს ასოცირების შეთანხმების კონტექსტში			5		
31.	CWHP 5050	არ აქვს	ცივი ომი: ისტორია და პოლიტიკა			5		
			საჯარო მმართველობა და თავისუფალი კრედიტი					
32.	SMPS 5350	არ აქვს	სტრატეგიული მენეჯმენტი საჯარო სექტორში	5				
33.	PCOM 5150	არ აქვს	პოლიტიკური კომუნიკაცია	5				
34.	PPA 5250	არ აქვს	საჯარო პოლიტიკის ანალიზი		6			
35.	PPPC 5250	არ აქვს	პოლიტიკის შემუშავება: პრაქტიკა და ქეისები		5			
36.	FREE 0001	არ აქვს	თავისუფალი კრედიტი		5			
37.	MPPI 0050	არ აქვს	თანამედროვე პოლიტიკური ფილოსოფია და			5		

			იდეოლოგიები					
38.	**ESPP 5050**	არ აქვს	საარჩევნო სისტემები და პოლიტიკური პარტიები			5		
39.	**AIPA 5350**	არ აქვს	ხელოვნური ინტელექტი სახელმწიფო მართვაში			5		
40.	**FREE 0002**	არ აქვს	თავისუფალი კრედიტი			5		
კვლევითი კომპონენტი (სავალდებულო)								**30**
41.	**MAT 5450**	RM 5251 IRT 5250	სამაგისტრო ნაშრომი				30	
ECTS კრედიტები			სემესტრში	**30**	**30**	**27**	**33**	**120**
			წელიწადში	**60**		**60**		**120**